43(077)
ქ-846

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქუთელია მანანა

სპეციალური სამედიცინო უცხოური ენის კომუნიკაციურად ორიენტირებული სწავლების შინაარსი და მეთოდები

(გერმანული ენის მასალაზე)

სპეციალობა: 13.00.02

სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2002

43(07Თ)
Ჯ-846
1866
ᲯᲣᲗᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ
ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲣᲠᲐᲓ
ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ
ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ
(ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲖᲔ)
-1866-

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქუთელია მანანა

სპეციალური სამედიცინო უცხოური ენის კომუნიკაციურად ორიენტირებული სწავლების შინაარსი და მეთოდები

(გერმანული ენის მასალაზე)

სპეციალობა: 13.00.02

სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2002

ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტში

ექსპერტები:

მ. პაიჭაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

შ.შაბურიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

რ.გაბეჩავა – პედაგოგიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

დ.ფანჯიკიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ი.მოსიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ნ.დოღონაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2002წლის 24 ოქტომბერს 13.00 საათზე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის PD 13.00 C N 1 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (380079, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 32)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ჭავჭავაძის გამზ., 32).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002წ. 21 სექტემბერს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
პროფესორი ც.ლოლაძე

ნაშრომის აქტუალობა და მნიშვნელობა. მზარდ საერთაშორისო, სამეცნიერო, ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობასთან ერთად მატულობს ინტერესი უცხოური, კერძოდ კი გერმანული ენის შესწავლისადმი სპეციალური მიზნებისათვის. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის რომელიც ახლა შედის მსოფლიო თანამეგობრობაში.სხვადასხვა, კერძოდ კი მედიცინის დარგის მუშაკთათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ენის აქტიურ ცოდნას და მისი საშუალებით საზღვარგარეთელ კოლეგებთან ურთიერთობას, უახლესი ინფორმაციის მიღებასა და გადაცემას.

ამ ამოცანის გადაჭრის სტრატეგიულ მიმართულებად გვევლინება უცხოური ენების სწავლების მეთოდიკის აქტუალური პრობლემის - სპეციალური, სამედიცინო ენის სწავლების საკითხების ახლებური გაშუქება, რადგან მიუხედავად ამ მიმართულებით ჩატარებული ფართო კვლევისა და უცხოური ენების სწავლების მეთოდიკის, როგორც მეცნიერების განვითარებისა, სპეციალური სამედიცინო უცხოური ენის სწავლების საკითხები თავისი სპეციფიკისა და თანამედროვე მედიცინის განვითარების არნახული ტემპების გამო უცხოური ენების სწავლების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება.

გამომდინარე იქიდან, რომ მედიკოსები უცხოურ ენას შეისწავლიან პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, ე.ი. მედიცინის დარგში კომუნიკაციის მიზნით, დღის წესრიგში დგება სწავლების ახალი კონცეფციის შემუშავება, ე.ი. არა ზოგადად უცხოური ენის, არამედ სამედიცინო დარგობრივი ენის სწავლების ისეთი მეთოდიკის შემუშავება, რომელიც მიმართულია არა ცალ-ცალკე ენის ან მეტყველების სწავლებისაკენ, არამედ უცხოურ ენაზე კომუნიკაციის და მისი ინტელექტუალურ და პრაქტიკულ მოღვაწეობაში გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისაკენ. დარგობრივი, სპეციალური ენების სწავლებას ეძღვნება საერთაშორისო სიმპოზიუმები. ერთ-ერთი ასეთ ბოლო სიმპოზიუმი ჩატარდა ამსტერდამში 1997 წელს, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა გერმანული ენის სწავლების საკითხებს სხვადასხვა დარგების წარმომადგენლებისათვის. ამ სიმპოზიუმზე აღინიშნა, რომ თანამედროვე ქვეყნების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაცია წარმოუდგენელია ინფორმაციის გაცვლისა და გავრცელების გარეშე, რაც თავის მხრივ, უცხოურ ენაზე აქტიური კომუნიკაციის უნარის არსებობას გულისხმობს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააააფართოვა თავისი ურთიერთობები გერმანულენოვან ქვეყნებთან (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია). ყოველწლიურად მოკლე თუ ხანგრძლივი სტაჟირების მიზნით იქაურ სამედიცინო დაწესებულებებში მიემგზავრება ათობით სტუდენტი და თანამშრომელი, რომელთაც უხდებათ იქ სწავლა და მუშაობა: ლექციებ-პრაქტიკულების მოსმენა, ავადმყოფების გასინჯვა, დილის კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, კონფერენციებზე მოხსენებების წაკითხვა, ანამნეზის ფურცლის შევსება, ავადმყოფობის ისტორიების დაწერა და ა.შ.